ხელშეკრულება
საქონლის შესყიდვის შესახებ N123/27

ქ. თბილისი 1 დეკემბერი 2011წელი

ერთის მხრივ, საქართველოს ეროვნული ბანკი აღმასრულებელი დირექტორის გიორგი მელაშვილის სახით, შემდგომში – „მიმწოდებელი"
მისამართი: ლეონიძისქ 3/5 თბილისი 0105 საქართველო

მეორეს მხრივს, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო (საქართველოს საელჩო პორტუგალიაში) წარმოდგენილი მინისტრის მოადგილის ლევან დავითულიანის სახით, შემდგომში–„შემსყიდველი"
მისამართი: შიო ჩიტაძის ქ N4 თბილისი 0118 საქართველო

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს 2005 წლის 20 აპრილის კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს" ქვეპუნქტის საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი
1.1.წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე ,,მიმწოდებელი" იღებს ვალდებულებას მიაწოდოს შემსყიდველს 1 (ერთი) ცალი „დიდი აბრეშუმის გზის" ამსახველი მონეტების კომპლექტი ხავერდის ყუთით.

2. ხელშეკრულების ღირებულება
2.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 250.00 (ორასორმოცდაათი) ლარს.
2.2. საქონლის ფასი ერთეულის მიხედვით შეადგენს 250.00 (ორასორმოცდაათი) ლარს.
2.3. ხელშეკრულების ღირებულებაში შედის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა გადასახადი, რომლის გადახდა ეკისრება „მიმწოდებელს".

3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები
3.1. საქონლის მიწოდების თარიღად ითვლება 2011 წლის 1 დეკემბერი.

4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი.
4.1. შესყიდვის საგანი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
4.2.შესყიდვის ობიეტის მიღების დროს საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს „მიმწოდებელი".
4.3. შემსყიდველის მხრიდან მიღება–ჩაბარების აქტზე ხელმოწერის და ნასყიდობის საგნის მიღების უფლება ენიჭება: სახელმწიფო შესყიდვების უზრუნველყოფის სამსახურის შესყიდვების მენეჯერს, გიორგი მაკასარაშვილს (პირადი ნომერი 01029015135) სახელმწიფო

შესყიდვების უზრუნველყოფის სამსახურის შესყიდვების მენეჯერს, არსენ ლაგვილავას (პირადი ნომერი 01019002750) და ოფიციალურ კორესპონდეციაზე მუშაობის სამსახურის უფროსს, ზაზა ავალიშვილს (პირადი ნომერი 01007010498).

5.მხარეთა უფლება–მოვალეობანი

5.1. „შემსყიდველი" ვალდებულია:

- გადაუხადოს „მიმწოდებელს" ხელშეკრულების ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.
- მიიღოს ნაყიდი ქონება.
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

6. „მიმწოდებელი" ვალდებულია:

- გადასცეს „შემსყიდველს" ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი დადგენილ ვადაში;
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

7. ანგარიშსწორების პირობები

7.1. საქონლის ღირებულების გადახდა მოხდება ლარებში უნაღდო ანგარიშსწორებით მიღება–ჩაბარების აქტის საფუძველზე.

7.2.ანგარიშსწორება განხორციელდება სრულად, საქონლის მიღების შემდეგ 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

8.1. შემსყიდველი უფლებამოსილია საქონლის მიწოდების ვადის გადაცილების შემთხვევაში დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ყოველ ვადა გადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ფასის 0,2 პროცენტის ოდენობით.

8.2.გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო ყოველ ვადა გადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ფასის 0,2 პროცენტის ოდენობით.

8.3. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10 პროცენტს, „მიმწოდებელს" უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

9. ფორს-მაჟორი

9.1. ხელშეკრულების რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ განიხილება ხელშეკრულების პირობების დარღვევად, თუ შესრულების შეფერხება ან ვალდებულების შეუსრულებლობა არის ფორს–მაჟორული გარემოებების შედეგი.

9.2. ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის ფორს–მაჟორი ნიშნავსმხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რაც შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომის, სტიქიური უბედურების და სხვა მსგავსი მოვლენებით.

9.3.მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ, წერილობით აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.
9.4. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებები მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გრძელდება 3 თვეზე მეტ ხანს მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება კომპენსაციის მოთხოვნის გარეშე.

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი
10.1. მხარეთა შორის წარმოქმნილი ყველა სადაო საკითხი გადაწყდება მოლაპარაკების გზით.
10.2. მხარეებს შორის შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავაგადაწყდება სასამართლოს მეშვეობით.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა
11.1. ამ ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება მხარეთა მიერ ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან და ძალაშია ვალდებულებების შესრულებამდე.

12. სხვა პირობები
12.1. ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხარეთა მიერ წერილობითი ფორმით გაფორმებული შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
12.2. ხელშეკრულება შედგენილია 4 (ოთხი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლიარად, 2 (ორი) პირი ინახება „მიმწოდებელთან" და 2 (ორი) პირი „შემსყიდველთან".

13. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„მიმწოდებელი"	„შემსყიდველი"
საქართველოსეროვნულიბანკი	საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო
ქ. თბილისი, ლეონიძის 3/5	ქ. თბილისი, შ.ჩიტაძის N4
ს/კ 203 824 148	ს/კ 203 836 322
საქართველოს ეროვნული ბანკი ბ/კBNLNGE22 ა/ნ GE09 NB02 5010 0706 9034 03	საქართველოს ეროვნული ბანკი ბ/კ BNLNGE22 ა/ა 200122900
გიორგი მელაშვილი აღმასრულებელი დირექტორი	ლევან დავითულიანი მინისტრის მოადგილე